მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

ევროპის უნივერსიტეტში მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტები სპეციალობაში გამოცდას აბარებენ უნივერსიტეტის მიერ შერჩეული კომისიის წევრებთან **გასაუბრების ფორმატში.**

აპლიკანტის აკადემიური მონაცემების დადგენის მიზნით გასაუბრების მსვლელობისას აპლიკანტმა უნდა უპასუხოს კომისიის წევრთა მხრიდან დასმულ თემატურ და კარიერულ კითხვებს და გამოავლინოს:

- ბიზნესის ადმინისტრირების და ორგანიზაციული მენეჯმენტის საკვანძო საკითხების გარშემო ცოდნა (რაც მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის)
- კომპლექსური ხედვის, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ეფექტური კომუნიკაციისა და დროის მართვის უნარი
- მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მოტივაცია - პროფესიული ინტერესის სფერო, კარიერიული და აკადემიური გეგმები

გასაუბრების პროცესში აპლიკანტის აკადემიური მონაცემების დადგენის მიზნებისათვის თემატური საკითხები შერჩეულია ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებული საკვანძო თემების მიხედვით.

აპლიკანტის შეფასება:
გასაუბრების პროცესში კანდიდატი ფასდება 25 ქულიანი სისტემით.
გამოცდა სპეციალობაში ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დააგროვებს ჯამური ქულების 50%-ზე მეტს.
გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები და თითოეულის შეფასება ქულობრივად:

ბიზნესის ადმინისტრირების და ორგანიზაციული მენეჯმენტის საკვანძო საკითხების გარშემო ცოდნა	მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
კომპლექსური ხედვის, კრიტიკული აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი	მაქსიმალური შეფასება - 6 ქულა
ეფექტური კომუნიკაციისა და დროის მართვის უნარი	მაქსიმალური შეფასება - 4 ქულა
მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მოტივაცია - პროფესიული ინტერესის სფერო, კარიერიული და აკადემიური გეგმები	მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა
	ჯამში: 25 ქულა

სპეციალობაში გასაუბრებისათვის მოსამზადებლად რეკომენდებული თემატიკა

- ბიზნესის არსი, როლი და მნიშვნელობა, ბიზნესის სახეები, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სტრუქტურული ფორმები; ბიზნესის გარემო, ბიზნესში ჩართული სუბიექტები,; სახელმწიფოს როლის ბიზნესის რეგულირებაში; ბიზნეს-საქმიანობისას გასათვალისწინებელი საკვანძო საკითხები;
- ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები; ეკონომიკის პრობლემები; სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, მიკრო და მაკროეკონომიკის ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა
- ორგანიზაციები და მართვა: ორგანიზაციის არსი, სახეები, ორგანიზაციის საქმიანობაზე ზემოქმედი ძირითადი ფაქტორები; მენეჯმენტის ძირითადი მეთოდები და ფუნქციები, მათი როლი და მნიშვნელობა; ორგანიზაციული მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციონალური სფეროები (პერსონალი; ოპერაციები; ბაზრები; სტრატეგია; ფინანსები), მათი მართვის სპეციფიკა

რეკომენდირებული სახელმძღვანელო ლიტერატურა სპეციალობაში გასაუბრებისათვის:

1. **რობინსი ს., კოულტერი მ., მენეჯმენტი.** მე 12 გამოც. თარგმ, თსუ, 2019
2. **შენგელია თ., ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბ.,** 2018წ. (ელ.რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ ელ-მისამართზე: http://bpa.ge/book/book95.pdf
3. **მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები,** თბ. 2008 წ. (ელ.რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ ელ-მისამართზე: https://www.academia.edu/11233909/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A3

გამოცდა ინგლისურ ენაში

გამოცდა ინგლისურ ენაში ამოწმებს B2 დონის ფლობას ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის მიხედვით (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა). გამოცდის მაქსიმალური შეაფსებაა 100 ქულა. თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 25 ქულა.

გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module). ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ. საუბრის კომპეტენცია ფასდება აპლიკანტისთვის B2 დონის შესაბამისი 5-6 კითხვისა და სადისკუსიო თემის შეთავაზებით. გამოცდის ხანგრძლივობაა 15 წუთი.

მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: კითხვა, მოსმენა და წერა.

- **კითხვის კომპეტენცია** - კითხვის კომპონენტი მოიცავს შემდეგ დავალებას: მოცემული იქნება ტექსტი, აპლიკანტი უნდა გაეცნოს მას და სწორად გასცეს პასუხი ტექსტის მიხედვით შედგენილ 10 დახურულ შეკითხვას.

- **მოსმენის კომპეტენცია** - მოსმენის კომპონენტი მოიცავს დახურული კითხვების მქონე ორ დავალებას. ამ დავალების შესრულების პროცესში, აპლიკანტი ორჯერ მოისმენს შესაბამისი დავალების შესასრულებად საჭირო ინფორმაციას.
- **წერის კომპეტენცია** - წერის კომპონენტის შესასრულებლად, აპლიკანტი მოცემული რამდენიმე ვარიანტიდან ირჩევს ერთ ესეის, რომელიც 150-180 სიტყვისგან უნდა შედგებოდეს.

კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესში, გვ. 25-32 (https://eu.edu.ge/ge/legal-acts).

გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს მინიმუმ 50% + 1 ქულას, ანუ 51 ქულას ოთხივე კომპონენტიდან. ინგლისურ ენაში წერითი გამოცდის ხანგრძლივობა: 2 საათი.

B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით, ინგლისური ენის დონის დასადასტურებლად

სტუდენტს უღიარდება შემდეგი საერთაშორისო სერტიფიკატები: CEFR B2; IELTS exam – 5.5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; TOEIC – 785; TOEFL iBT – 72; TOEFL ITP – 543. ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება".